თეიმურაზ შაშიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტობაზე

ასე ცხოვრება აღარ შეიძლება – ერთად გავიმარჯვოთ საქართველოსთვის!

ჩვენ ვიწყებთ საერთო-სახალხო მოძრაობას სიყალბის წინააღმდეგ

დიდი ანალიზი არ არის საჭირო, რომ 1990-იანი წლებიდან საქართველო ქართული სიყალბის პირობებში ცხოვრობს. სიყალბე შეფუთულია აგრესიით და გამაგრებულია ფულით – ეს არის პოლიტიკური ფული, როგორც ქართველი ოლიგარქების, ასევე ქვეყნის გარედან სოროსული და მისი მსგავსი ოდიოზური პიროვნებებისა და მათი მორჩილი ორგანიზაციებისგან.

დღემდე ყველა მთვრობა ამბობდა, რომ მუშაობს კარგად, მივდივართ წინ, პირველები ვართ ყველაფერში. თუ ეს ყველაფერი სწორი იყო, მაშინ ლამის რატომ ცხოვრობს ხალხი უარესად – ღარიბი კიდევ უფრო ღარიბი როგორ გახდა, მაშინ როცა მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა?!

გენიალურად თქვა მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა, „განწყობის თეორიის“ ფუძემდებელმა, დიმიტრი უზნაძემ: “ ... გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ!“

მოქმედებაა საჭირო – ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში უპირველესად და მოსახლეობა დაინახავს რა მასშტაბების სიყალბესთან გვაქვს საქმე.

- ყოველგვარი კანონის დაცვით შევეცდები გამოქვეყნდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ წარდგენილი ხელმომწერთა სიები. მოსახლეობას თმა ყალყზე დაუდგება. რას უნდა ველოდოთ იმ პარტიებისა და ადამიანებისგან, რომლებიც სიყალბით იწყებენ პრეზიდენტობისთვის ბრძოლას!
- დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაწილეობით შევქმნი კომპეტენტურ ჯგუფებს და გავაანალიზებ არჩევნების წინ პარტიებისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატების საარჩევნო დაპირებების შესრულებას – ვიფიქრებ ისეთ საკანონმდებლო სისტემაზე, რომელიც არ მისცემს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას იმ პოლიტიკურ ძალას, თუ პიროვნებას, რომელმაც ხალხი მოატყუა რა გამოდის? თუ ადამიანმა ვინმე მოატყუა, თაღლითობისთვის ასამართლებენ და პასუხს არ ვთხოვთ იმ ძალებს, რომლებიც მთელ მოსახლეობას ატყუებენ?!
- უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით შევადგენთ ადამიანის საარსებო კალათას, აღმოჩნდება, რომ ყველა ყველა ეტაპზე გვატყუებდა, რომ საარსებო მინიმუმი რამდენჯერმე აღემატება მთავრობის მიერ დადგენილს.
- დავადგენ რეალურ საარჩევნო სიას მოსახლეობა დაინახავს, რა სიყალბით ვატარებდით და ვატარებთ არჩევნებს.
- გავაანალიზებთ: რას ლაპარაკობენ პოლიტიკოსები ხელისუფლებაში ყოფნის დროს და ოპოზიციაში გადასვლისას. ვნახავთ, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო იქნება ეს გამოსვლები. ისინი პარპაშობენ, ჩვენ კი მონებად გვაქციეს!

მაღალი პოლიტიკური კულტურა და სხვა სტანდარტების პოლიტიკური პროცესი სიყალბეზე აგებული არსებული მახინჯი სისტემის ნაცვლად!

საქართველო ოდითგან ცივილიზებული სახელმწიფოა – გამორჩეული კულტურის ქვეყანა, სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში პოლიტიკაში (და არა მარტო), ლიბერალიზმის ილიასეული ხედვის უარყოფამ და მახინჯი ფორმებით მისმა მომძლავრებამ, გზა მისცა ცივილიზაციის არსის ბიბლიური გაგების უარყოფას – იმის უარყოფას, რაც სამყაროსეული იყო – **პოლიტიკოსებმა ადამიანი აქციეს საშუალებად, მაშინ, როცა ცივილიზაცია ადამიანს მიიჩნევს მიზნად!**

უმცირესობათა ინტერესები უნდა დავიცვათ, მაგრამ არ შეიძლება მათი გაფეტიშება, მით უფრო, უმრავლესობის ინტერესების, ერისა და ქვეყნის ინტერესების უარყოფითად, უგულებელყოფით.

საქართველოს ერთიანობისთვის ჩვენ აშკარად გვჭირდება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების სწორად გააზრება და დაცვა. ეს ჩვენთვის პრინციპული საკითხია, მაგრამ აქ საუბარია სხვა ტიპის უმცირესობაზე.

ფაქტია: დღეს რეალურად ყველგან და ყველაფერში იგრძნობა უმცირესობის აშკარა პრივილეგირებულობა, რეალური დიქტატურა და ამისთვის დემოკრატიის სახელის მინიჭება. დიახ, პოლიტიკური უმცირესობის ხელშია ფულიც, ქონებაც, კარგად ცხოვრების პრივილეგიაც, მსოფლიოს წარმატებულ ქვეყნებში შვილების სწავლის უფლებაც, პარლამენტსა და ხელისუფლებაში უმრავლესობის მოპოვების მექანიზმებიც და აქედან გამომდინარე, თავიანთი ძალაუფლების განმტკიცების საკანონმდებლო ბაზის შექმნის უფლებაც! პირდაპირ ვიტყვით: რეალურად ქვეყნის ბატონ–პატრონი ხალხი კი არ არის, როგორც ეს კონსტიტუციითაა აღიარებული, არამედ, ის უმცირესობა, რომელმაც ყველაფერი მიითვისა, ცენტრშიც, ქალაქშიც, რაიონებშიც. უკვე სოფელსაც მოედო და არაფრად აგდებს უმრავლესობის უფლებას და ინტერესებს! ყველაფერი ეს სიყალბის შედეგია. ჩვენ ვცხოვრობთ მოჩვენებითი დემოკრატიის, ყალბი ეროვნული პათოსის, სოციალური დემაგოგიის და ელიტარული კორუფციის ქვეყანაში.

ყველაფერი ეს ურცხვად არის გამყარებული კანონმდებლობით. კონსტიტუციაც კი იცავს პარტიულ და არა სახელმწიფოებრივ ინტერესს, საარჩევნო სისტემა კი ამაგრებს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ტყუილზე, სიცრუესა და სიყალბეზე არიან აგებული. ვინც გვპირდებოდა მილიონ სამუშაო ადგილს და მილიონი უმუშევარი ქვეყანაში შექმნა და მილიონზე მეტი იძულებული გახადა საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად ქვეყნის გარეთ გასულიყო... ვინც გვპირდებოდა სიღარიბის დაძლევას და სიღატაკემდე მიგვიყვანა, ვინც გვპირდებოდა სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე – ომამდე და დესტაბილიზაციამდე მიგვიყვანა, ვინც გვპირდებოდა კორუფციის დაძლევას – ელიტარული კორუფციული სისტემა შექმნა... დღეს იგივე ხალხი გვმოძღვრავს ტელევიზიებით, გვკვეხავს ახალი დემაგოგიით და მათი წარმომადგენლები იბრძვიან პრეზიდენტობისთვის.

სიყალბეზე აგებული ეს მახინჯი სისტემა უნდა დაინგრეს!

ჩვენ ეს კრებულში, «გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ» ჩამოვაყალიბეთ. ეს არის ჩვენი ხედვა, ანუ ქართული გზა, ეს არის სამყაროს ცივილიზაციის ფუნდამენტურ ღირებულებებთან, ფასეულობებთან, იდეალებთან დაბრუნება. ჩვენ ერთნი ვართ იმაშიც, რომ ეს არის თანამედროვე მსოფლიოს ამავე მიმართულების პროგრესულ მოძრაობასთან შეერთება...

ეს განწყობა ძლიერდება დღეს თანამედროვე მსოფლიოში: ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისშიც – მსოფლიოს ყველა კონტინენტის სახელმწიფოთა მოაზროვნენი ამისკენ მოუწოდებენ ხალხსაც და სახელმწიფოთა ლიდერებსაც.

ჩვენთვის, საქართველოსთვის, ეს არის ბრძოლა რწმენის, ზნეობისა და ნიჭის ძალაუფლებისთვის!

ჩვენ ეს შეგვიძლია...

დიდი ერთობით გავიმარჯვოთ საქართველოსთვის!

ქვეყნის მისია, ეროვნული მიზანი და ნაციონალური იდეა

საინტერესოა და სანატრელია ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, რომელსაც აქვს სწორი ორიენტირი და ხელისუფლება ქმნის ისეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს, რომელიც ხალხს აძლევს საშუალებას, გახდეს ამ მიზნების რეალიზაციის თანამონაწილე.

ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, განვითარება დაიმსახურა, მაგრამ ამას ტანჯვით არ უნდა აღწევდეს და ყოველი მომდევნო ათწლეული შეცდომების გამოსწორებას არ უნდა ხმარდებოდეს.

ეს არ მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას მკაფიოდ ექნება განსაზღვრული და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი სამი ფუნდამენტური პრინციპი ქვეყნის აღმშენებლობისა.

ქვეყნის მისია, ეროვნული მიზანი და ნაციონალური იდეა.

- მე მიმაჩნი, რომ ჩვენი ქვეყნის მისიაა – ვიყოთ ქრისტიანობის დასაყრდენი სამხრეთ კავკასიაში და ქრისტიანული ფასეულობებითა და ცხოვრების წესით მისაბაძი მთელი ქრისატიანული სამყაროსთვის. ეს ნიშნავს ტოლერანტულ განწყობას ყველა ტრადიციული რელიგიებისადმი. ჩვენი ისტორიული წარსული გვარწმუნებს, რომ ამის ძალაც შეგვწევს და მორალური უფლებაც გვაქვს.
- ეროვნული მიზანი – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საზღვრების განმტკიცება და მისი დაცვა!
- ნაციონალური იდეა – ადგილის დამკვიდრება ცივილიზებულ სამყაროში.

გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. საქართველოს შეუძლია გახდეს არა პაექრობის. არამედ თანამშრომლობის ტერიტორია, ყველამ, ვისთვისაც მისაღებია ქვეყნის მისია და ეროვნული მიზნები, უნდა იცოდეს, რომ მათთვისაც ხელმისაწვდომი გახდება ჩვენი ქვეყანა, მისი სიმდიდრე და საგანძური. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამ ქვეყანაში ყველას რაღაცა ჰქონდეს რაღაც დასაკარგი – ასე ჩნდება ქვეყნის მოფრთხილების და მოვლის სურვილი. ვფიქრობ, ამაშია გარანტია ქვეყნის ჭეშმარიტი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისა. თუ ამის საფუძველი გახდება საუკეთესო განათლების სისტემა, გამართული საინვესტიციო გარემო და საფინანსო პოლიტიკა, არაკრიმინოგენური გარემო და ეკოლოგიური კეთილდღეობა, ქართველი ერის ისტორიული ტოლერანტობის ფონზე ქვეყანას გაუჩნდება შეუქცევადი განვითარების შანსი.

ამ მიზნით უამრავი კონკრეტული წინადადება და პროგრამა გვაქვს. ერთს შევეხები საქართველო მთელი მსოფლიოსთვის იქნება საინტერესო, როგორც წყლის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების, ბალნეო და აგრო ტურიზმის ქვეყანა.

მე მოვდივარ!

(ჩემი პასუხისმგებლობა თქვენს წინაშე)

- მეცნიერების, განათლების, კულტურის, მედიცინის და სპორტის
- ახალგაზრდობის
- პენსიონერებისა და საერთოდ, უფროსი თაობის
- დევნილთა
- ემიგრანტთა
- სოფლისადმი, როგორც დიდი კულტურული ფენომენისადმი
- სამუშაო ადგილების შექმნის
- ბიზნესისა და ზოგადად, მეწარმეობის
- სოციალურად დაუცველი და შრომის უუნაროების
- ქართული ჯარის
- წესრიგის დამცველთა
- წარმატებულ ადამიანთა გამრავლების და უკვე წარმატებულთა
- საკუთრების დაცვის
- თავისუფალი მედიის, ხალხის ინტერესების გამომხატველი არასამთავრობო სექტორის

მხარდაჭერის პროგრამებით

მე მოვდივარ ქვეყნის მართვის ახალი სისტემით, რომლის საფუძველი იქნება არა დღევანდელი – რაც შემიძლია ვაკეთებ, არამედ ქვეყნის შესაძლებლის მაქსიმუმზე მუშაობა.

მე მოვდივარ იმ პროგრამით, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების მიერ მთავარი ფუნქციის შესრულებას: შექმნას კონკურენტული გარემო და დაიცვას ადამიანი.

მე მოვდივარ იმ პროგრამით, რომ ხელისუფლება გადასახადის ამოღებით კი არ იყოს დაკავებული არამედ მის უპირველეს საქმედ თვლიდეს, ადამიანები აქციოს გადამხდელუნარიანებად... დღევანდელი დამამცირებელი ბრძოლა არსებობისთვის შეიცვალოს, შესაძლებლობების რეალიზაციის სისტემით.

მე მოვდივარ საქართველოს გაერთიანების, ჩვენი ძმებთან – აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების აღდგენის, თაობათა ერთიანობის, საქართველოსა და საქართველოს გარეთ მცხოვრებთა ერთიანობის პროგრამებით.

მე მოვდივარ წინადადებით, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დაბადებული ქართველი და აფხაზი დაბადებისთანავე, საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდეს, რამეთუ ჩვენ ორივენი ერთი მიწის შვილები ვართ და სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია.

მე მოვდივარ საქართველოს თითოეული მოქალაქის, მიუხედავად მისი ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა, დაცვის გარანტად,

მე მოვდივარ იმის გარანტად, რომ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს შვილებს საზღვარგარეთის ქვეყნებში ჰქონდეთ იგივე უფლებები, რა უფლებებიც ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს აქვთ საქართველოში.

მე მოვდივარ საფინანსო და ეკონომიკური სისტემის დეცენტრალიზაციის, რეგიონებისადმი, განსაკუთრებით ქალაქებისა და რაიონებისადმი მხარდაჭერის, სოფლისთვის ისტორიული სტატუსის დაბრუნების პროგრამით; იმ წინადადებით, რომ გუბერნატორებს ცენტრი კი არ ნიშნავდეს, არამედ რეგიონების საკრებულოების წევრები ირჩევდნენ;

მე მოვდივარ იმ პროგრამით, რომ საქართველოში დასრულდეს გარედან დაფინანსებული მართული პარტიების, პოლიტიკოსების, მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პარპაში.

მე მოვდივარ სასამართლოს დამოუკიდებლობის და სამართლიანობის დადგენის გარანტად.

მე მოვდივარ იმის გარანტად, რომ საქართველოში დამკვიდრდება პრინციპი: ქვეყანას მართავს ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა. რომ საქართველოში დასრულდება ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით ცხოვრება... იმის გარანტად, რომ დასრულდება უზნეო უმცირესობის ბატონობა ზნეობრივ უმრავლესობაზე და ქვეყნის ბატონ–პატრონი იქნება ხალხი. მე მოვდივარ იმის გარანტად, რომ იყოს მხოლოდ ერთი ძალაუფლება – ნიჭისა და ზნეობის ძალაუფლება,

მე მოვდივარ წინადადებით, რომ საქართველოს ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი არასდროს დაიწყება.

მოვდივარ იმის გარანტად, რომ ნამდვილ მეწარმეს და ბიზნესმენს არ სჭირდებოდეს ხელისუფლების კეთილგანწყობის ყიდვა ბიზნესის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის

მე მოვდივარ ისეთი სისტემის შექმნის გარანტად, როდესაც სახელმწიფო სამსახურში სამუშაოდ მოვლენ მაღალმორალური მაღალკვალიფიციური, საქმისათვის და ქვეყნისთვის. თავდადებული პიროვნებები, როცა შეუძლებელი იქნება არაკანონიერი და არამორალური გზით ქონების მოხვეჭა. ამ თეზის განსამტკიცებლად, მე წარმოვადგენ ჩემს ხელწერილს, იმედია კოლეგა – პრეტენდენტები გაასაჯაროებენ თავიანთ ანალოგიურ დოკუმენტს. ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში, შეიქმნება იურიდიული საფუძველი იმისა, რომ ყველა მოხელე ვალდებული გახდეს, წარმოადგინოს ანალოგიური. აქვე დავძენ, რომ ვიქნები ის პრეზიდენტი, რომელიც დაიცავს კანონიერი გზით მოპოვებულ მატერიალურ სიკეთეებს.

ვიცი, ზემოაღნიშნულმა ბევრი კითხვა გაგიჩინათ. ფიქრობთ, აქვს კი, ეს უფლებები საქართველოს პრეზიდენტს?

პირდაპირ და ხმამაღლა ვამბობ: პრეზიდენტი არის კონსტიტუციის დაცვის გარანტი და ზემოთქმული, გარანტირებულია სწორედ საქართველოს კონსტიტუციით.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ხელისუფლების უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა, უზრუნველყოს ადამიანისათვის ბუნებით ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვა, შეუქმნას მოქალაქეებს ადამიანური არსებობის პირობები.

ხელისუფლება უნდა იყოს იმის გარანტი, რომ სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, შეუქცევადად უზრუნველყოს ადამიანისათვის: საცხოვრისი, საარსებო მინიმუმი, ჯანმრთელობის დაცვა და განათლების მიღება.

ხელისუფლება, რომელიც ამას ვერ (ან არ) აკეთებს, საკუთარ თავს აყენებს კონსტიტუციის გარეთ.

ჩემი, როგორც პრეზიდენტის, მოვალეობა იქნება, შევძლო ყველაფერი ეს მთავრობასთან, პარლამენტთან, მთელ სახელისუფლებო ვერტიკალთან ერთად, თუ საჭირო გახდება, ვაიძულო კიდეც, უფრო მეტიც, თუ მათში იგივე განწყობა არ იქნება, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოვიყენო კონსტიტუციით მონიჭებული უფლებები მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნისა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ თანამშრომლობას დაპირისპირების გარეშე. მე თანამშრომლობის ჰარმონიზაციის

მომხრე ვარ, რამეთუ ვიცი, დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობა კი, ძლიერთა ხვედრი.

ჩვენ ყველა ეს საკითხი ჩამოყალიბებული გვაქვს კომპლექსურ პროექტში **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“**, რომლის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პიროვნებას თბილისში, კოსტავას 6–ში, მეტრო რუსთაველთან, მსურველებს თბილისიდან და რეგინებიდან შეუძლიათ ინფორმაციის მიღება პროფ. ნუგზარ გულორდავასთან (ტელ: 555 02 78 87) ჩვენ ამ პროგრამებით ვიწყებთ შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში. მზად ვართ, მივიღოთ ცალკეული ჯგუფების წინადადებები შეხვედრისა და დისკუსიის თაობაზე ამ საკითხებთან დაკავშირებით.

ჩვენ მოვდივართ სუფთა და შიშველი ხელებით, სიმართლით და წრფელი განწყობით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ცოდნით.

მოვდივარ უდიდესი პასუხისმგებლობით. რამეთუ ვიცი, რომ ნამდვილი პოლიტიკოსობა დღეს, მით უფრო პრეზიდენტობა, ეს თავგანწირვით მუშაობის მზადყოფნაა ხალხისა და ქვეყნისთვის. მე წარმოვადგენ სრულ პროგრამას კრებულის სახით, რომელზეც ვმუშაობდი წლების განმავლობაში მეცნიერთა და ექსპერტთა მრავალრიცხოვან ჯგუფთან ერთად.

პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ყოველთვიურად მექნება ღია შეხვედრები პირდაპირი სატელევიზიო გადაცემით, როგორც მეცნიერების სხვადასხვა ჯგუფებთან, ექსპერტებთან, სპეციალისტებთან, ასევე საქართველოს მოქალაქეებთან. ამ შეხვედრების მთავარი მიზანი იქნება პასუხი მომთხოვონ ამ კრებულის თითოეულ წინადადებაზე.

მე მოვდივარ სრულიად განსხვავებული პოლიტიკური სტანდარტებით.

მეტიც, პრეზიდენტობის ორი წლის თავზე, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად, ჩავატარებ პრეზიდენტისადმი ნდობის რეფერენდუმს და თუ მოსახლეობა ჩათვლის, რომ მე დანაპირები არ შევასრულე, გადავდგები თანამდებობიდან. ასეთივე პუნქტის შეტანას ვთხოვ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში.

ხშირად გამოვიყენე სიტყვა „მე“. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის ჩემი პირადი, დიახ უპირველესად პირადი პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე, რადგან მე მინდა ვიყო თქვენი და არა რომელიმე პარტიის, პოლიტიკური გუნდის თუ ჯგუფის, მითუმეტეს ოლიგარქიის მორჩილი პრეზიდენტი.

თავის დროზე, 1990 წლის დასაწყისში, ხალხის განწყობიდან და ქვეყნის მიზნებიდან, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საპარლამენტო რესპუბლიკა რეფორმირდა საპრეზიდენტო რესპუბლიკად. სამწუხაროდ, ყოველგვარი რეფერენდუმისა და ხალხის განწყობის გათვალისწინების გარეშე, ქვეყნისთვის ყველაზე საჭირო და უმნიშვნელოვანეს მომენტში, მოხდა გადასვლა საპარლამენტო მოდელზე, პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული იგნორირებით. **მე მოვდივარ** მართვის იმ პროგრამით, რომ ქვეყანა კვლავ დაუბრუნდეს საპრეზიდენტო მმართველობას და პარტიული ინტერესების კონსტიტუცია გახდეს ხალხის ინტერესების გამომხატველი და დამცველი. ამ მიზნით, ყველაფერს გავაკეთებ რეფერენდუმის ჩათვლით, ამავე დროს, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ.

იამაყებს ყველა, ვინც მხარს დამიჭერს და ხმას მომცემს, ჩემგან ღალატი არ იქნება!

ხელწერილი

მე, თეიმურაზ შაშიაშვილი, მცხოვრები ქ. ქუთაისში, გამსახურდიას ქუჩის მე–5 შესახვევი № 1, როგორც საჯარო სამსახურში მყოფი თანამდებობის პირი, ვიძლევი ამ ხელწერილს მასზედ, რომ:

1. მე, ჩემი მეუღლე, შვილები და დედა, `მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის არც ერთ სამეწარმეო სუბიექტში არ ვფლობთ საწესდებო კაპიტალის წილს ან აქციას და არც ერთი სამეწარმეო სუბიექტის მიმართ არ გაგვაჩნია ფინანსური თუ სხვა სახის პირადი ინტერესები.

2. თუ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის განმავლობაში ჩემი ან ამ ხელწერილის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა წრიდან, რომელიმე პიროვნება შევიძენთ საცხოვრებელ სახლს, მანქანას, ან გავხდებით `მეწარმეთა შესახებ~ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილის ან აქციის მფლობელი, ვაცხადებ, რომ ჩემს მიერ ოფიციალურად იქნება ინფორმირებული საზოგადოება, შეძენამდე ერთი თვით ადრე, საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.

3. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაქსიმალურად დავეხმარები თითოეულ დაინტერესებულ პირს, მოიპოვოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია ამ ხელწერილით განსაზღვრული პირობების ნამდვილობის შემოწმებისათვის თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება ეჭვი ამა თუ იმ სამეწარმეო სუბიექტში ჩემი ან ზემოხსენებულ პირთა წრის არაოფიციალური წილისა თუ აქციის მფლობელობის თაობაზე

4. პიროვნება, რომელიც წარმოადგენს ამ ხელწერილის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული პირობების უარმყოფელ და გამაბათილებელ, სამართლებრივად დადასტურებულ დოკუმენტს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755–ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჯილდოს სახით ვჩუქნი მას აღნიშნულ საწესდებო კაპიტალის წილს, აქციას და ამ ხელწერილის მეორე პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევით შეძენილ სამეწარმეო სუბიექტის წილს, აქციას, სახლს და მანქანას.

5. თუ სახელმწიფო სამსახურში ჩემი მოსვლის შემდგომ ამ ხელწერილის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა წრიდან რომელიმეს აქვს შეძენილი საცხოვრებელი სახლი, მანქანა, ან არის ნებისმიერი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის სახელმწიფო სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილის ან აქციის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755–ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჯილდოს სახით ვჩუქნი მის აღმომჩენ ნებისმიერ პიროვნებას ზემოთ აღნიშნულ ნივთს.

6. ხელწერილი ძალაშია როგორც ჩემი სახელმწიფო სამსახურში ყოფნის განმავლობაში, ისე სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ

7. ხელწერილი ჩემს მიერ არის შედგენილი, სწორია და ხელს ვაწერ. თეიმურაზ შაშიაშვილი 1999 წელი

P.S. გამოქვეყნდა პრესაში; ჩაბარდა დეკლარაციების ბიუროს... ანალოგიურის გამოქვეყნებით მივმართე ყველას – ქვეყნის პრეზიდენტით, დეპუტატებით დაწყებული, მერიის და გამგებლის რიგითი მუშაკით, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებით დამთავრებული... დღემდე არავის გამოუქვეყნებია...

მთავარია, გაიმარჯვოს საქართველომ და არა რომელიმე ჩვენთაგანმა

ღია მიმართვა კოლეგებს – პრეზიდენტობის კანდიდატებს

უდიდესი წარსულისა და ასეთივე მომავლის ქვეყანა – ჩვენი სამშობლო, საქართველო, პოლიტიკურ პარტიათა და პოლიტიკოსთა უაზრო დაპირისპირების მსხვერპლად იქცა..

ეს არის არა იდეათა, პროგრამათა და პოზიციათა დაპირისპირება, არამედ, გარედან მართული და დაფინანსებული პოლიტიკური ჯგუფების დაპირისპირება ფულის, მეტიც, დიდი ფულის შოვნის პოლიტიკური უფლების მოსაპოვებლად!

მწამს და მჯერა: მსოფლიო გამოცდილებაც ამას ადასტურებს, ამის მაგალითია დამოუკიდებლობის ეს ოცდაათი წელიც – დაპირისპირება სუსტების პოლიტიკური მექანიზმია თავიანთი გავლენის დასამკვიდრებლად. შედეგად კი მივიღეთ უზნეო უმცირესობის ბატონობა ზნეობრივ უმრავლესობაზე. დიახ, დღეს ჩვენ რეალურად ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ერთნაირად უბედურია მდიდარიც და ღარიბიც.

ეს უნდა დამთავრდეს – უნდა დამთავრდეს პოლიტიკურ სამთავროებად საქართველოს დაყოფა. ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და ყველას ვთავაზობთ თანამშრომლობის პოლიტიკას: თანამშრომლობა მხოლოდ ძლიერთ შეუძლიათ.

ხელისუფლებავ, **პრეზიდენტობის** კანდიდატებო, **თუ ძლიერები** ვართ, გადავდგათ ეს ნაბიჯი ამ საპრეზიდენტო არჩევნების დროს და მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე ერთად დავასრულოთ ქვეყანაში პოლიტიკოსების პარპაში, **პოლიტიკურ პარტიათა აღვირახსნილობა,** ხალხს დავუბრუნოთ პარტიებისა და პოლიტიკოსების მიერ წართმეული საქართველო და ფულისუფლების ქვეყნიდან წავიდეთ ნიჭის ძალაუფლების სახელმწიფოსკენ!

ჩვენ სრულიად განსხვავებულ საარჩევნო კამპანიას ჩავატარებთ, რადგან ვიცით, რომ საქართველოს სხვა სტანდარტების პოლიტიკა სჭირდება. რაც მალე დავამთავრებთ:

- საარჩევნო კამპანიას, როგორც ბიზნესს, როცა ე.წ. საარჩევნო შტაბები, რეალურად ფულის კეთების ცენტრებია, პირდაპირ ვთქვათ, ბიზნესჯგუფებია, სადაც მთავარი ფულია და არა ზნეობა, მორალი, ქვეყნის ინტერესი.
- ინტელიგენციის დამონებას პოლიტიკოსების მიერ, როცა ყველაფერი ხათრით და ფულის ძალით კეთდება..
- ეკლესიისა და საერთოდ სამღვდელოების ჩართვას საარჩევნო პროცესში – პატრიარქთან გადაღებული სურათებით პოზიორობას საარჩევნო გვერდებსა და პროსპექტებზე.

ქვეყანაში მით უკეთესი მდგომარეობა იქნება…

წარსულს უნდა ჩაბარდეს სოციალური დემაგოგია და ტყუილი პოლიტიკაში. **წარსულს უნდა ჩაჰბარდეს გარედან დაფინანსებული და მართული**, **უცხოელი იმიჯმეიკერების მიერ შეფუთული და მათ მიერ ხალხის მოტყუებაში გაწვრთნილი პოლიტიკოსებიც**! **წარსულს უნდა ჩაბარდეს პარტიიდან პარტიაში მომთაბარე პოლიტიკოსთა გაყვანა ხელისუფლებაში. წარსულს უნდა ჩაბარდეს ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით დაკომპლექტებული მთავრობები, პარლამენტები, ადგილობრივი ხელისუფლებები.**

წარსულს უნდა ჩაბარდეს დამკვიდრებული არაფორმალური მმართველობის სისტემა.

ქვეყანას ყველა დონეზე, ხელისუფლებაში, პიროვნებები სჭირდება და არა ყურმოჭრილი შემსრულებლები. ვაღიაროთ და მოვინანიოთ, ოცდაათი წელია, გვღუპავს არა ქვეყნის, **არამედ** პირადი ერთგულებით კადრების შერჩევა.

ჩვენ სახალხოდ და საჯაროდ, სწორედ ხალხის წინაშე უნდა ვისაუბროთ ამ საკითხებზე, ვთქვათ, ვის როგორ წარმოგვიდგენია პოლიტიკაში მაღალი რეპუტაციის ადამიანების შერჩევის სისტემის შემუშავება და დამკვიდრება. რისი გარანტიც, ჩემი აზრით, ხალხთან მუდმივი დიალოგის სისტემა და მეცნიერთა მონაწილეობით შემუშავებული სახელმწიფო მოხელეთა, სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები უნდა გახდეს.

დღევანდელ საქართველოს ჰაერივით სჭირდება სისტემა, რომელიც ხელისუფლებაში არ გაიკარებს არაპროფესიონალს, გაუნათლებელს, გამოუცდელს, სუსტსა და მატყუარას. სისტემა, რომელიც ძლიერზე — რწმენის კაცზე, საქმის კაცზე იქნება დამყარებული. სისტემა, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკოსს, სახელმწიფო მოხელეს ანგარიშვალდებულს გახდის არა მისი უცხოელი თუ ჩვენებური პატრონის, არამედ, ხალხის წინაშე.

ჩემთვის შემზარავია, პოლიტიკოსების არცთუ იშვიათი მძიმე შეფასება ხალხის მისამართით გაკეთებული, ხშირი გამოთქმები „ხალხი გაფუჭდა“. **გულახდილად ვთქვათ, ჩვენ, პოლიტიკოსები** გავფუჭდით, ხალხი კი მართლა ძლიერი ყოფილა, რომ გაგვიძლო! როგორ უნდა ელოდოს ხელისუფლება ხალხის მხარდაჭერას, როცა ამომრჩეველთა არცთუ მცირე ნაწილის ხმა ფულით იყიდა. რა ნამუსით უნდა ელაპარაკო ხალხს წესიერებაზე, როცა ყოველ კუთხე–კუნჭულში ამომრჩეველთა მოსყიდვაზეა საუბარი და ამ „საქმიანობას“ შტაბები და ე.წ. კოორდინატორები ეწევიან. და საერთოდ, საიდან ეს ფული?!!

სწორედ ეს ფული გვანგრევს და არა უფულობა! სწორედ ისინი გვიყიდიან ქვეყანას, ვინც ჩვენს ხმებს ყიდულობს და ჩვენ კი მონობა, გაუსაძლისი ცხოვრება მოგვყიდეს, ცოდვა ჩაგვადენინეს – შვილებისა და შვილიშვილების მომავალი გაგვაყიდინეს!

სწორედ ამ საკითხებს ითვალისწინებს ჩვენ მიერ, მეცნიერებთან და ცნობილ მოღვაწეებთან ერთად შემუშავებული პროგრამა „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“, რომელსაც ჩვენ ბორჯომში წარვადგენთ მომდევნო კვირაში.

ეს არ იქნება მხარდამჭერთა შეხვედრა: პრეზიდენტობის კანდიდატს ყველასთან უნდა შეეძლოს საუბარი. იგი ყველას პრეზიდენტობის კანდიდატია.

თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი სწორედ ის არის, რომ წარდგენაზე ვიწვევთ ხელისუფლებას, პარტიებსაც და, რაც მთავარია, კოლეგებს – პრეზიდენტობის კანდიდატებს. ჩვენ ვართ ღია და ნებისმიერ ჩვენს შეხვედრაზე მივესალმებით მათ მონაწილეობას. დიდი სიამოვნებით მივიღებთ მათ ყველა მოწვევას, იქნება ეს საერთო ხასიათის, თუ მიზნობრივი შეხვედრა.

სამწუხაროა, რომ ხალხს, მოსახლეობას, ჩვენს ამომრჩეველს დამოუკიდებელი საქართველოს თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში, არ უნახავს მათ წინ ცოცხლად მოპაექრე პოლიტიკოსები. პატივი ვცეთ ამომრჩევლებს. პატივი ვცეთ მეცნიერებს, ზოგადად ინტელიგენციას და დავდგეთ მათ წინაშე ერთად. ვთქვათ ჩვენი აზრიც, მოვუსმინოთ მათაც და ერთად ვუპასუხოთ მათ შეკითხვებს.

ბუნებრივია, ამას სჭირდება ორგანიზება, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა დავასახელოთ თითო კაცი, შევქმნათ სამუშაო ჯგუფი და სრული კონსესუსით დავამკვიდროთ ასეთი შეხვედრების გამართვის პრინციპები.

ჩვენ დღესვე ვასახელებთ ჩვენს კანდიდატურას – ქალბატონ ლელა ებრალიძეს.

ვფიქრობ, არასწორია, როცა სახელმწიფოსგან დაფინანსებული ორგანიზაციები – ეს ეხება უპირველესად განათლების, კულტურის, მედიცინის სისტემას, ხვდებიან მხოლოდ სახელისუფლებო კანდიდატს, ან კიდევ ყოფილი ხელისუფლების კანდიდატებს.

მე პირადად ვისურვებდი, რომ განათლების, კულტურისა და მედიცინის სისტემის პოლიტიზება არ მოგვეხდინა, არ შევხვედროდით ამომრჩევლებს მწერალთა და საერთოდ, შემოქმედებით კავშირებში. ამომრჩევლებს ქალაქებში, სოფლებში, რაიონებში, უბნებში – საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა ვხვდებოდეთ.

ამასთან, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს ვთავაზობთ ერთობლივ თემატურ შეხვედრებს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან დაკავშირებით: ტერიტორიული მთლიანობა, უმუშევრობა, საპენსიო სისტემა, ახალგაზრდობის პოლიტიკა, განათლება, კულტურა, მედიცინა, სპორტი, საბიუჯეტო მოწყობა, საფინანსო და ეკონომიკური სისტემის დეცენტრალიზაცია, სოფლის მეურნეობა... **ბიზნესი მიტოვებულია, არ გვაქვს სამხედრო დოქტრინა – საერთოდ,** სამხედრო სტრატეგია, **მომაკვდინებელია დემოგრაფიული სიტუაცია – საქართველო ქართველებისგან იცლება, ჩვენს მამულს ქვეყანაში მოქმედი დამღუპველი კანონების გამო, უცხოელები ეპატრონებიან, ძირითადად, ირანიდან, არაბეთიდან, თურქეთიდან, ათასი მითქმა–მოთქმაა გერმანიის კანცლერ მერკელის** სტუმრობასთან დაკავშირებით და მრავალი სხვა.

ერთად შეხვედრა ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს – დაამთავრებს სოციალურ დემაგოგიას და ხალხის ზღაპრებით გაბრუებას. გავიხსენოთ, დღემდე ხომ ერთი მილიონი სამუშაო ადგილი უნდა შეგვექმნა, დღემდე ხომ კორუფცია უნდა დაგვემარცხებინა, დღემდე ხომ სიღარიბე უნდა დაგვეძლია, დღემდე ხომ ცივილიზებული საბანკო სისტემა უნდა შეგვექმნა, დღეს ხომ სამართლიანი სასამართლო უნდა გვქონდეს და საერთოდ, სამართლიანობა უნდა იყოს აღდგენილი და დამკვიდრებული. ეს ხომ ის ლოზუნგებია, რომლითაც დამოუკიდებელ საქართველოში იმარჯვებდნენ პარტიები. რომელი ერთია შესრულებული?! პასუხი ხომ უნდა ვაგოთ პოლიტიკოსებმა**?!** ამ არჩევნების დროს, გულწრფელად ბოდიში მაინც უნდა მოვუხადოთ ხალხს!

ვინმე იტყვის, ეს დისკუსიები ხომ ტელევიზიებით მიდისო. აქაც ნუ ვატყუებთ ხალხს. ჯერ ერთი, სამარცხვინო და დისკრიმინაციული და პირდაპირ ვიტყვი, ანტიკონსტიტუციურია კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სუბიექტებად დაყოფა. და რაც მთავარია, კიდევ უარესი: ტელევიზიებს თავიანთი პრეზიდენტობის კანდიდატები ჰყავთ. ეს ტრაგედიაა! თანამედროვე მსოფლიოში დღეს ეს მხოლოდ განუვითარებელ ქვეყნებში თუ შეიძლება ხდებოდეს!

აქედან გამომდინარე, ნუ მივაყენებთ შეურაცხყოფას ჩვენს ხალხსა და ქვეყანას. მხოლოდ ღია და პირდაპირი შეხვედრები, ყოველგვარი პომპეზურობის, მოსაწვევი ბარათების, ტაშისა და ფამილარობის გარეშე! ეს, მხოლოდ ეს გაგვიყვანს სწორ გზაზე, გაგვაერთიანებს ხალხს და ქვეყანას მომავლის საქართველოსთვის**!**

სერიოზული საქმის შესრულება შეუძლიათ ქალაქებისა და რაიონების სახელით შექმნილ ორგანიზაციებს (საზოგადოება „თბილისელი“, „ქუთაისელი“, „ბათუმელი“, „ფოთელი“, „რუსთაველი“ და ა.შ. საბედნიეროდ, ყველგანაა შექმნილი ასეთები). ძალიან ცუდია, რომ ბევრმა მათგანმა სახელისუფლებო კანდიდატის მიწვევით დაიწყო. პოლიტიკაში მაინც უნდა დამთავრდეს სახელისუფლებო მონოპოლია, რომელიც ოცდაათი წელია ებრძვის საქართველოს და ქართულ სულს!

ჩვენი დევიზია: „ერთად გავიმარჯვოთ საქართველოსთვის!“ ეს შემთხვევით არ აგვირჩევია. დღემდე საქართველოში იმარჯვებდნენ პარტიები, პარტიული ჯგუფები, ცალკეული პოლიტიკოსები და დამარცხებული იყო და არის საქართველო**!!!**

ჩემი ამოცანა არ არის პიროვნული გამარჯვება, ამ არჩევნებში მე ვიბრძვი საქართველოს გამარჯვებისთვის! საარჩევნო ნომერიც **–65** გვიწყობს ხელს. 2018 წლის **28 ოქტომბერს ვირჩევთ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მეექვსე სახელმწიფო მეთაურს და მეხუთე პრეზიდენტს.**

ჩვენ საარჩევნო სიაში ბოლო ვართ. ვისურვებდი, რომ არჩევნების შედეგებით პირველი ვყოფილიყავით!

იამაყებს, ყველა ვინც ხმას მოგვცემს, ჩემგან ღალატი არ იქნება**, რამეთუ ვიცი, დღეს პოლიტიკოსობა საერთოდ, და მით უმეტეს, პრეზიდენტობა – ეს ხალხისთვის თავგანწირული მუშაობაა!**

თეიმურაზ შაშიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი

25 სექტემბერი, 2018 წელი

პოზიცია

ჩვენ უნდა დავაფასოთ გამოცდილი ადამიანები

ყველგან იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები, **ზვიად გამსახურდიას** გარემოცვაშიც, **ედუარდ შევარდნაძის** ხელისუფლებაშიც, **ასლან აბაშიძესთანაც**, **მიხეილ სააკაშვილთანაც**, **ბიძინა ივანიშვილთანაც**, **ირაკლი ღარიბაშვილთანაც, გიორგი კვირიკაშვილთანაც** და არიან დღევანდელ ხელისუფლებაშიც.

ჩვენი ამოცანა უნდა იყოს საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების სახელისუფლებო არენაზე გამოსვლა. მაგრამ რამდენიმე პირობით.

მხოლოდ ისინი, ვინც:

- **ხელისუფლებაში ყოფნის დროს ზნეობრივი სახე შეინარჩუნა, გაუძლო ცდუნებას;**
- **არ გაბოროტდა ოპოზიციაში ყოფნისას;**
- **სწამს და სჯერა, რომ არ შეიძლება პოლიტიკის ბიზნესად ქცევა და ხელისუფლებაში ბიზნესინტერესებით ყოფნა**
- **დღესაც ინარჩუნებს დიდი და კეთილ საქმეთა კეთების რესურსს.**

ქვეყანას ყველა დონეზე პიროვნებათა ხელისუფლება სჭირდება!

ამის საფუძველი კი, მაღალი რეპუტაციის ადამიანების შერჩევის სისტემის შემუშავება და დამკვიდრებაა. მისი გარანტი ხალხთან მუდმივი დიალოგის სისტემა და მეცნიერთა მონაწილეობით შემუშავებული სახელმწიფო მოხელეთა, სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები უნდა გახდეს.

ეს იქნება სისტემა, რომელიც ხელისუფლებაში არ გაიკარებს არაპროფესიონალს, გაუნათლებელს, გამოუცდელს, სუსტსა და მატყუარას.

სისტემა, რომელიც ძლიერზე – რწმენის კაცზე, საქმის კაცზე იქნება დამყარებული.

სისტემა, რომელიც ნებისმიერ პოლიტიკოსს, სახელმწიფო მოხელეს ანგარიშვალდებულს გახდის არა მისი უცხოელი,თუ ჩვენებური პატრონის, არამედ, ხალხის წინაშე.

პოლიტიკის გასუფთავების პროცესი აუცილებლად უნდა წარიმართოს ყოველგვარი დაპირისპირების, ანგარიშსწორების – ჩემიანებად და სხვისიანებად დაყოფისა და ქუჩის ბრძოლების გარეშე. საქართველოში საერთოდ ქუჩის პოლიტიკა და ქუჩის პოლიტიკოსების პარპაში უნდა დამთავრდეს. ეს ქართული გზა არ არის!

ჩვენ ყველაფერში სწორი დიაგნოზი გვჭირდება

ქვეყანაში უამრავი უმძიმესი პრობლემა დაგროვდა საბანკო სისტემით დაწყებული, უმუშევრობით და სიღატაკით დამთავრებული. ყველა პრობლემის სათავე ხელისუფლებაა, მისი მართვის სტილია. ეს ზოგჯერ არ ვიცით და ვებრძვით შედეგს და არა მიზეზს. ხელისუფლებასაც ეს აწყობს... მკვიდრდება დამანგრეველი სისტემა, ყველა ყველას წინააღმდეგ. არც ბანკირებს უნდა ვებრძოლოთ, თუმცა მათ ბევრი ნაკლი აქვთ, არც ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელებს უნდა გამოვუცხადოთ ომი. პრობლემათა სათავე ხელისუფლებაა – მათ მიერ მიღებული კანონები და გადაწყვეტილებებია. აფხაზებმა და ოსებმა ძალიან დამაფიქრებელი რამ მითხრეს: „ჩვენ ომმა იმდენად არ დაგვაცილა, რამდენადაც თქვენს მიერ ომის შემდგომ მიღებულმა კანონებმაო, თქვენ მიწებს ყიდით – ჩვენ ამას არ დავუშვებთ... თქვენ მიღებული კანონებით დაასუსტეთ ეკლესია – ჩვენ ამას არ დავუშვებთ... თქვენ მიღებული კანონებით უარყავით თქვენი და ჩვენი საერთო ტრადიციები ოჯახთან და ბევრ სხვა რამესთან დაკავშირებით – ჩვენ ამას არ დავუშვებთ... სწორად მირჩიეს ჩვენსკენ გადმოდგმული პირველი ნაბიჯი სწორედ ამ კანონებისა და გადაწყეტილებების შეცვლა იქნებაო. მე როგორც პრეზიდენტი სწორედ ამას ვთვლი ერთ–ერთ უპირველეს საკითხად, რამეთუ იგივეა ქართველი ხალხის განწყობაც და კარგია, რომ ჩვენმა ძმებმა და მეგობრებმა უფრო ქართული პოზიცია დაიჭირეს, ვიდრე იმ პარლამენტარებმა, რომლებმაც ამ დამანგრეველი კანონების მიღებას დაუჭირეს მხარი.

კიდევ ერთი და პრინციპული მოსაზრება

- ყოველწლიურად წარვსდგები ქვეყნის წინაშე სპეციფიური ეროვნული მოხსენებით (ე.წ. „თეთრი წიგნი“).მასში მოცემული იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის ანალიზი, სადაც ერთის მხრივ, ხაზგასმული იქნება ადამიანის, როგორც ქვეყნის ძირითადი რესურსის (ცოდნის, პროფესიული ჩვევების, გამოცდილების, შემოქმედებითი უნარის მატარებლის) და მეორეს მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის ინტერსექტორალური პრობლემები (გარემო, კვების უსაფრთხოება, თამბაქოს, ალკოჰოლის, ფსიქოაქტივობის საშუალებების მოხმარება და ა.შ.). აქვე დავძენ, როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს დაავადებიანობის 50% უკავშირდება ცხოვრების წესს, 20% – არახელსაყრელ გარემო პირობებს, 20% – მემკვიდრეობას, ხოლო 10% – ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხარისხს.

<u>ბედნიერებაა ამომრჩეველი, რომელიც სინდისის კარნახით აძლებს ხმას და სამშობლოსთან არაფერი ეშლება</u>

- **ჩვენ არც ერთ ქალაქსა და რაიონში არ გვექნება ე.წ. შტაბები, არ გცეყოლება ე.წ. შტატიანი მუშაკები..მათ სახელთანაა საქართველოში დაკავშირებული სიყალბე, ნგრევა, გაღატაკება... ეს ბიზნეს–ქარხნები უნდა დაინგრეს!**

ჩვენი შტაბი იქნება, ყოველი სახლი, საზოგადოებრივი თავშეყრის ყოველი ადგილი (პარკი, ბაღი, ბირჟა — ქალაქის უბნებში, თუ სოფლის ცენტრებში, ბაზარი, მაღაზია, საპარიკმახერო, ფეხსაცმელის შემკეთებლის ადგილი, სადაც გონებით და საქმიანად განიხითკავენ, თუ ვინ უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი..

ვთქვი და ვადასტურებ, მე მარტომ უნდა ვიბრძოლო და რაც მეტი ჩემი მხარდამჭერი გააკეთებს ამასვე, მით უკეთესი, ჩვენ გამარჯვებაში შევერთდებით.

- **რაც მალე დავამთავრებთ:**
  1. **საარჩევნო კამპანიას, როგორც ბიზნესს, როცა ე.წ. საარჩევნო შტაბები,რეალურად ფულის კეთების ცენტრებია, პირდაპირ ვთქვათ, ბიზნეს–ჯგუფებია ,სადაც მთავარი ფულია და არა ზნეობა, მორალი , ქვეყნის ინტერესი...**
  2. **ინტელიგენციის დამონებას პოლიტიკოსების მიერ , როცა ყველაფერი ხათრით და ფულის ძალით კეთდება..**
  3. **ეკლესიისა და საერთოდ სამღვდელოების ჩართვას საარჩევნო პროცესში.–პატრიარქთან გადაღებული სურათებით პოზიორობას საარჩევნო გვერდებსა და პროსპექტებზე...**

     ქვეყანაში მით უკეთესი მდგომარეობა იქნება...
- **ჩვენ არსად არ გვექნება დახურული შეხვედრები. ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება შეხვედრები მათთან, ვისაც აქვს შეკითხვები ჩემთან, ვისაც ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია ვის მისცეს ხმა, ვინც ჩემი წინააღმდეგია... არც მომხრეებთან მექნება მშვიდი შეხვედრები, არ გვჭირდება შეხვედრები ერთმანეთის ერთგულების დამტკიცებისთვის ... ჩვენი მხარდამჭერები, ჩვენი პოზიციისა და პროგრამების ყველაზე მთავარი ოპონენტები უნდა იყვნენ, რამეთუ ტაშმა და ერთმანეთის ქება–დიდებამ, დღევანდელ მძიმე მდგომარეობამდე მოგვიყვანა.**

პოზიცია

- მწამს და მჯერა: ამ მიწის, ამ წყლის, ამ ჰაერის, ამ სითბოს, ამ ბუნებრივი და ადამიანური რესურსების, გეოგრაფიული და ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყანაში ასე არ უნდა ვცხოვრობდეთ!
- მომავალი აქვს ქვეყანას, სადაც მართვის სადავეები ხელში აქვთ აღებული ეროვნული ღირსების მქონე ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებს, სადაც მასწავლებელს, მეცნიერს, ხელოვანს და მეწარმეს აქვს მხარდაჭერა, სადაც მადლიერებაა უფროსი თაობების მიმართ, სადაც დაცულია შრომისუუნარო, სადაც დაფასებულია ჯარისკაცი და წესრიგის დამცველი, სადაც განათლებაა უპირველესი პრიორიტეტი, სადაც არის ნიჭის ძალაუფლება და ყველას აქვს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება, სადაც დაცულია ყოველი მოქალაქის სწავლისა და განვითარების უფლება. მთავარი და განსაკუთრებული, სადაც ხელისუფლებას ყოველივე ეს გაცნობიერებული აქვს და იცის, რომ იგი ხალხის მსახურია და არა უფროსი!
- ქართული, მხოლოდ ქართული გზა – ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს! ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს! "ქართული" არასდროს ნიშნავდა კარჩაკეტილობას. ყოველთვის იყო ნაზიარები ზოგადკააცობრიულთან. ქართული ნიშნავს ერთობას აფხაზებთან და ოსებთან, საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებთან. ყალბი და ანტიქართულია ქვეყნის გარეთ ყურება და მხსნელის ძებნა ქვეყნის გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები! დავიხსნათ თავი გარედან მართული პარტიებისა და პოლიტიკოსებისგან, ავირჩიოთ განათლებულ და ზნეობრივ ადამიანთა ხელისუფლება! ამის გაკეთება ღირსებით სავსე ამომრჩევლებს შეუძლიათ.
- ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და პოლიტიკურ სამთავროებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მივიჩნევთ. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია — მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ
- ჩვენი სურვილი და მიზანი ერთია: შედგეს ხალხის, ეკლესიისა და მთავრობის ნამდვილი ერთობა მომავლის საქართველოსთვის. ამის გარანტი ახლადარჩეული პრეზიდენტი უნდა იყოს!

მეცნიერთა ჯგუფის პოზიცია:

თეიმურაზ შაშიაშვილის უპირატესობები პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებთან შედარებით

1. კარგად იცნობს რეალურ ცხოვრებას
2. იცის გარდამავალი პერიოდის თავისებურებები
3. იცის სუბიექტური მიზეზები, რომლებმაც დღევანდელობა განაპირობეს
4. იცნობს კადრებს, მათ შორის იმათაც, ვინც ხელი შეუწყო ქვეყნის განვითარების შეფერხებას, იცნობს მათაც, ვინც დილეტანტიზმით, უპასუხისმგებლობით დღესაც აფერხებს ქვეყნის წინსვლას
5. სწორად აქვს გააზრებული წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის ერთ მთლიანობის სისტემად ჩამოყალიბების სტრატეგია (ამ თემას ყველა გაურბის. მიზეზი – არ იციან რას ნიშნავს, ან ეწინააღმდეგება გარედან მიღებულ დირექტივებს)
6. აქვს გამორჩეული ხედვა (უნარი) მრავალი პრობლემიდან ამოირჩიოს ცენტრალური (ჯაჭვში ის რგოლი, რომლის ამოწევით ჯაჭვის ამოწევა ხდება). თანამედროვე პირობებში ეს განსაკუთრებული ნიჭია. სამწუხაროდ, იგი სხვებს არა აქვთ. ეს უპირატესობა რეალიზაციას მოითხოვს.
7. კარგად იცის ქვეყნის პრეზიდენტის „ხილული“ და უხილავი“ ფუნქციები. პრეზიდენტის ყველაზე ძლიერი პოზიცია – მისი ლეგიტიმურობაა. როგორც ჩანს, კანდიდატებს სწორად არ ესმით, მათი ე.წ. შეკვეცილი ფუნქციებიც.

მათი განცხადებებით ირკვევა, რომ მათ ზოგადი წარმოდგენაც არ აქვთ პრეზიდენტის ინსტიტუტზე საერთოდ.

ჩვენს მიერ მხარდაჭერილ პრეზიდენტობის კანდიდატი დღეს ერის იდენტობის სახეა, მისი მრავალმხრივობა (ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება, ადამიანური ღირსებები, პირველ რიგში წესიერება (ფართო გაგებით), მითუმეტეს ერის ინტერესებისადმი დამოკიდებულებაში), კომუნიკაციების უნარი, სუფთა წარსული, რომლითაც მისი შედარება სხვებთან უხერხულიცაა, მისდამი მოსახლეობის ნდობა (იგი პრაქტიკულად შემოწმებულია), აძლევს მას დიდ უპირატესობას კონკურენტებთან შედარებით. ყურადსაღებია საქართველოს რეგიონულ თავისებურებების სიღრმისეული ცოდნის ფაქტორიც.

8. პრეზიდენტს აქვს განუსაზღვრელი უფლება (ევალება კიდეც) ცოდნით, გამოცდილებით გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ეროვნული ინტერესების შესაბამისად რეგულირებაზე (კანონშემოქმედება, მართვის რეგულირების მექანიზმის ფორმირება, საგარეო ურთიერთობები, ინტეგრაციული კავშირები, განვითარების მთავარი ფაქტორების შერჩევა, განათლების, მეცნიერების ეროვნული კულტურის განვითარება და სხვ.)
9. ჩვენს მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი ის პიროვნებაა, ვისაც დღევანდელ პირობებში ყველაზე კარგად შეუძლია არა მხოლოდ შეასრულოს ე.წ. შეკვეცილი ფუნქციები, არამედ, რეალურად შესძინოს პრეზიდენტის ინსტიტუტს ახალი გამოწვევების ადეკვატური ფუნქციებიც (ისინი რეალურად განსაზღვრულია, მაგრამ „უხილავია“ ზედაპირზე არ დევს).
10. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები – სხვადასხვა ფორმით უნდა ითქვას.
11. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ პრეზიდენტებად და საერთოდ უმაღლესი თანამდებობის პირებად ძირითადში გუბერნატორებსა და ქალაქის მერებს ირჩევენ, დასახელებულ კანდიდატებს შორის ბატონი თეიმურაზი ერთადერთია, რომელსაც ეს გამოცდილება აქვს.
12. ქვეყნის მთავარსარდალს უნდა ჰქონდეს ჯარში სამსახურის გამოცდილება, უნდა იყოს უშიშარი და კრიტიკულ მომენტში საკუთარი მაგალითით უნდა ადასტურებდეს ყოველივე ამას. ბატონმა თეიმურაზმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ორჯერ ააცილა დიდი სისხლის ღვრა ქვეყანას, იმ თვითმფრინავში შესვლით, რომელსაც აფხაზეთის ომის გამო თითქმის ყველა ჩამოგდებას უწინასწარმეტყველებდა, დაადასტურა უმაღლესი მთავარსარდლისათვის აუცილებელი თვისება.